კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:

ქ. თბილისი, ქუჩა დავით ჯაბიძე №8, ს/კ 01.11.10.004.453, საწყობი

საგანი:

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო შენობას ჩრდილოეთით ემიჯნება: ორ სართულიანი, სარდაფის გარეშე, რკინაბეტონის კარკასით და ანაკრები პანელებით შევსებული ადმინისტრაციული ფუნქციის შენობა. საპროექტო შენობამდე მანძილია 18მ. მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა დავით ჯაბიძე, №8. ს/კ:01.11.10.004.453 შენობა №04(2). ამავე შენობას გვირაბული სისტემით უკავშირდება მსუბუქი კონსტრუქციის, ლითონის კარკასით მოწყობილი დროებითი ნაგებობა, რომლის დაშორება საპროექტო შენობამდე შეადგენს 7 მ-ს. ხოლო დასავლეთის მხარეს საკადასტრო გეგმაზე, როგორც შენობა №12/1 - ერთსართულიანი მიშენება, კონსტრუქციულად წარმოდგენილია ბლოკის წყობის მზიდი კედლებით და გადახურულია თუნუქის სახურავით. საპროექტო შენობამდე დაშორება შეადგენს 18 მ-ს.

ჩრდილო დასავლეთის მხარეს საპროექტო შენობიდან 15 მეტრში საკადასტროზე №11/1 ს/კ:01.11.10.004.453 მდებარეობს სატრანსფორმატოროს შენობა: ერთსართულიანი, უსარდაფო, რკინაბეტონის ნაგებობა, ბლოკის შევსებით.

საპროექტო შენობიდან 10 მეტრის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ნაკვეთზე ს/კ :01.11.10.004.453, №09(1) მდებარეობს სასაწყობე ფუნქციის

ერთსართულიანი შენობა - რკინაბეტონის კარკასით, ბლოკის შევსებით და გადახურული მსუბუქი კონსტრუქციით (თუნუქის ფურცლით).

საპროექტო შენობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს **15 მეტრში** იგივე საკადასტროზე 01.11.10.004.453, №03(1) მდებარეობს სასაწყობე ფუნქციის ერთსართულიანი შენობა, რკინაბეტონის კონსტრუქციის, რომელიც შევსებულია ბლოკით და გადახურულია რკინაბეტონის ფილით.

დასავლეთის მხარეს საპროექტო შენობიდან **15 მეტრში** მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 9 სართულიანი, სარდაფით, რკინაბეტონის კარკასით და ანაკრები პანელებით შევსებული. მისამართი: ქ. თბილისი გლდანის მასივი მიკრორაიონი VII, კორპუსი 11. ს/კ:01.11.10.004.001 შენობა №01(9).

დასავლეთის მხარეს 11, 17 და 19 მეტრის დაშორებით საპროექტო შენობას ემიჯნება ლითონის კონსტრუქციის ავტოფარეხები. მისამართი: ქ. თბილისი გლდანის მასივი მიკრორაიონი VII, კორპუსი 11. ს/კ:01.11.10.004.001 შენობები: 28(1), 29(1) და 41(1),

სამხრეთის მხარეს საპროექტო შენობიდან 5 მეტრში მდებარეობს ლითონის კონსტრუქციის ავტოფარეხები, (მისამართის და ს/კ კოდების გარეშე.

აღმოსავლეთის მხარეს საპროექტო შენობას 1 მეტრში ესაზღვრება ერთსართულიანი სასაწყობე ფუნქციის ლითონკონსტრუქციის მქონე შენობა, (საკადასტრო მონაცემების გარეშე); იგეგმება აღნიშნული შენობის დემონტაჟი.

სამხრეთის მხარეს საპროექტო შენობიდან 2 მეტრში მდებარეობს ერთსართულიანი ბლოკის კედლების საყარაულო ნაგებობა; იგეგმება შენობის დემონტაჟი.

ასაშენებელ საპროექტო შენობა უსარდაფოა და დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიან ფილაზე. ყველა ზემოაღნიშნული არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ სრულად დაცულია სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნა. ნორმების ეს პუნქტი ასახავს მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგაცვლენის პარამეტრებს.

დასკვნა:

ქ. თბილისი, ქუჩა დავით ჯაბიძე №8, ს/კ 01.11.10.004.453, საწყობის მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,

შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია



თბილისი 28-11-2025